

მაგთიკომი

ქვეყანა:

საქართველო

პროექტის ნომერი:

48493

ბიზნეს სექტორი:

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

შეტყობინების ტიპი:

კერძო

გარემოს დაცვის კატეგორია::

B

საბჭოზე გატანის თარიღი:

6 ივლისი, 2016

სტატუსი:

გადახდის ეტაპი

პროექტის მხარდაჭერის დოკუმენტი გამოქვეყნდა:

2 ივნისი, 2016

პროექტის აღწერა

100 მილიონ დოლარამდე ა/ბ (A/B) სესხი გაიცემა წამყვანი სატელეკომუნიკაციო კომპანია „მაგთიკომისათვის“. სესხის თანხა მოხმარდება საქართველოში სიდიდით მეორე, ინტერნეტ მომსახურების მომწოდებელი, კომპანიის „კავკასუს ონლაინის“ ("CO") საცალო აქტივების შესყიდვას. აღნიშნული აქტივები მოიცავს სრულ ინფრასტრუქტურას, აღჭურვილობასა და საჭირო ქსელს, ინტერნეტ, სატელეფონო და IPTV მომსახურების უზრუნველსაყოფად საბოლოო მომხმარებელთათვის.

[ორივე მხარის ერთობლივი განცხადება](#) გამოქვეყნდა 2016 წლის 30 მაისს.

პროექტის მიზნები

„მაგთიკომი“ გეგმავს „კავკასუს ონლაინის“ საცალო აქტივების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ფართოზოლოვან სერვისს საცალო და კორპორატიული კლიენტებისათვის.

„მაგთიკომი“, რომელიც ცნობილია ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარებისადმი სწრაფვით, განიხილავს მის მიერ „კავკასუს ონლაინის“ საცალო აქტივების შესყიდვას ამ მისწრაფების გამოვლინებად, ინტერნეტ სერვის პროვაიდერის (ISP) ბიზნესის განვითარებით ინტერნეტისა და ინტერნეტ პროტოკოლის ტელევიზიის (IPTV) სერვისის გეოგრაფიული დაფარვის არეალის გაფართოების გზით. „მაგთიკომმა“ უკვე აცნობა მარეგულირებელს შესყიდვის გეგმების შესახებ და მიიღო მოქმედების ნებართვა.

გარდამავალი შედეგი

პროექტმა შესაძლოა, იქონიოს დადებითი გარდამავალი შედეგი ფართოზოლოვანი ინტერნეტის ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობისა და ფართოზოლოვანი ქსელის საქართველოს რეგიონებში გავრცელების კუთხით.

ეს მნიშვნელოვანია იმ კონტექსტში, რომ ეროვნული ფიქსირებული ფართოზოლოვანი ქსელის გავრცელება შედარებით დაბალია (დაახლოებით 11 პროცენტი).

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

მაგთიკომი

„მაგთიკომი“ არის წამყვანი მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორი საქართველოში, რომელიც უზრუნველყოფს მრავალმხრივ მომსახურებას - მობილურდან, ფიქსირებული უსადენო ინტერნეტის, ფართოზოლოვანი „პირდაპირ სახლში“ ("DTH") სატელიტით სატელევიზიო სერვისებამდე. 2015 წლის დეკემბრის მონაცემებით კომპანიას 1.9 მილიონ მობილური მომხმარებელი ჰყავდა და მობილური სერვისის სეგმენტში ბაზრის 39 პროცენტი ეკავა. დაარსების დღიდან, 1996 წელს, „მაგთიკომი“ ასრულებდა გადამწყვეტ როლს ისეთი ქსელების განვითარებაში, როგორებიცაა GPRS (2001 წელს), სატელიტური მაუწყებლობა (2012 წელს) და 4G/LTE ქსელი 2015 წელს. „მაგთიკომი“ ასევე უზრუნველყოფს ფიქსირებულ უსადენო სერვისებს CDMA ქსელის გამოყენებით. 2012 წლის იანვარში, კომპანიამ ქვეყანაში პირველი DTH სერვისი აამოქმედა.

EBRD-ის დაფინანსების ჯამი

100 მილიონ დოლარამდე სესხი EBRD-ისგან „მაგთიკომს“, რომელიც შედგება ა (A) სესხისგან 75 მილიონ დოლარამდე, EBRD-ის საკუთარი ანგარიშიდან და ბ (B)

ნაწილის - 50 მილიონი დოლარის მოძიება მოხდება საერთაშორისო კრედიტორებისაგან.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

პროექტს მიენიჭა კატეგორია ბ, 2014 წლის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის ფარგლებში. ნაკლებად სავარაუდოა, რომ პროექტმა იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა გარემოს დაცვისა და სოციალური კუთხით, ამიტომ ტექნიკური კვლევა ეფუძნება კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმებას. ტექნიკური კვლევის შედეგად, მოხდა გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის კვლევის კითხვარების სრულად შეფასება და დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა კომპანიისაგან, რათა EBRD უკეთ გაეცნოს (i) არსებულ კორპორატიულ გარემოს დაცვისა და სოციალური მართვის სისტემებს, განხორციელების შესაძლებლობებსა და შესრულების ინტენსივობას მაგთიკომის მხრიდან და (ii) ნებისმიერი პოტენციური გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და სოციალურ (EHSS) რისკებს, რაც დაკავშირებულია დაგეგმილ ტრანზაქციასთან.

მიღებულმა პასუხებს არ წამოუწევია გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხებთან დაკავშირებული რაიმე კონკრეტული პრობლემა, თუმცა საჭიროა ამის დადასტურება. მომდევნო ეტაპზე წამოჭრილი რაიმე შეუსაბამობა EBRD-ის სტანდარტებთან, ჩაიწერება გარემოს დაცვისა და სოციალურ სამოქმედო გეგმაში (ESAP), რომელიც შეთანხმდება კლიენტთან. წინამდებარე დოკუმენტი განახლდება გარემოს დაცვისა და სოციალური კვლევის შედეგების ასახვის მიზნით და საჭიროების შემთხვევაში ESAP-ის შინაარსის ასახვის მიზნითაც, რომელიც შეთანხმდება კლიენტთან.

ტექნიკური თანამშრომლობა

არ არსებობს.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

არჩილ გომიაშვილი

archil.gomiashvili@magticom.ge

+995 322 17 16 30

+995 322 17 11 71

www.magticom.ge

პოლიტკოვსკაიას ქ. N7. 0186, თბილისი, საქართველო

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორის პროექტებთან დაკავშირებით, მიმართეთ [EBRD-ის](#)

[შესყიდვებს](#) : ტელ: +44 20 7338 6794

ი-მეილი: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

EBRD-ის პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად, რაც არ უკავშირდება შესყიდვებს, დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

ი-მეილი: projectenquiries@ebrd.com

საჯარო ინფორმაციის პოლიტიკა (PIP)

საჯარო ინფორმაციის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გავრცელების გზები და კონსულტაციები, რომლებსაც ბანკი თავის აქციონერებთან აწარმოებს ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით.

[პოლიტიკის დოკუმენტის ტექსტი](#)

პროექტის საჩივრის მექანიზმი (PCM)

ევრობანკმა დააწესა პროექტის საჩივრის მექანიზმი (PCM) - დამოუკიდებელი განხილვის ან საჩივრების შეტანის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით ფიზიკური პირებისა თუ ორგანიზაციების მხრიდან ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ, რომლებმაც სავარაუდოდ გამოიწვიეს ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი.

[პროექტის საჩივრის მექანიზმის წესები](#)

ნებისმიერი საჩივარი, პროექტის საჩივრის მექანიზმის ფარგლებში წარდგენილი უნდა იყოს წესებსა და პროცედურებში გაწერილ ვადებში. დახმარებისათვის შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ საჩივრების ოფიცერს (pcm@ebrd.com), თუ არ ხართ დარწმუნებული, რა პერიოდში უნდა მოხდეს საჩივრის წარდგენა.